შ.პ.ს. სამედიცინო ინოვაციების ცენტრი

Medical Innovations Center LLC

სკ: 405062523

ID:405062523

სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული

სააგენტოს თავმჯდომარეს

ქალბატონ ეკატერინე სისაურს

03 აპრილი 2018

ქალბატონო ეკატერინე,

თქვენი 2018 წლის 07 მარტის წერილის N 4/13374 პასუხად წარმოგიდგენთ ინფორმაციას შპს „სამედიცინო ინოვაციების ცენტრის" მიერ განხორციელებული შემდეგი ღონისძიებების შესახებ:

2017 წლის 21 ივლისს მივიღეთ მშენებლობის ნებართვა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურისგან მიწის ნაკვეთზე IV კლასის საავადმყოფოს სამშენებლოდ (საკადასტრო კოდი: 01.13.01.010.089).

მომდევნო პერიოდში განხორციელდა მშენებლობისათვის მოსამზადებელი შემდეგი სამუშაოები: უპირველესად, განვახორციელეთ არსებული შენობა-ნაგებობებისა და კომუნიკაციების დემონტაჟი. შემდეგ მოვახდინეთ კომუნიკაციების მოწყობა (ელექტროენერგია, წყალი) და ტერიტორიის შემოსაზღვრა ახალი ღობით მშენებლობის უწყვეტი პროცესის უზრუნველსაყოფად. აღნიშნულის შემდეგ, განვახორციელეთ ხე-ნარგავების ექსპერტიზა და გადარგვა, და ასევე საკანალიზაციო კოლექტორის დადგენა-გარკვევისა და გადატანის პროცედურები, რაზეც ჩვენს 2017 წლის 25 ივლისის წერილშიც გვქონდა საუბარი. აღნიშნულის შემდეგ ეტაპზე მოხდა 40 000 მ$^3$ მიწის ამოღება და გატანა, რის შემდეგაც ტერიტორიაზე აღმოჩნდა ჭარბი რაოდენობის გრუნტის წყლები და შესაბამისად იძულებული გავხდით გაგვეკეთებინა ტერიტორიის გამიჯვნა რკინა-ბეტონის ხიმინჯებით, ხოლო შიგა ტერიტორიაზე მოვაწყვეთ სადრენაჟო სისტემები და დავაყენეთ საქაჩი ტუმბოები, რაც, თავის მხრივ, დიდ დროსთან იყო დაკავშირებული. ამის შემდეგ, განვახორციელეთ ქვაბულის ამოვსება 10 000 მ$^3$-მეტი ბალასტით. ასევე საჭირო გახდა ამ ბალასტის მრავალჯერადი დატკეპნა და მომზადება. ამასთანავე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტიდან დაგვჭირდა დატკეპნის კოეფიციენტის მიღება, რაც აუცილებელი იყო სამშენებლო სამუშაოების დასაწყებად. აღნიშნულის შემდეგ, ტერიტორიაზე დაისხა წინა მომზადების ბეტონი და საბოლოოდ ქვაბული მომზადდა მშენებლობის დასაწყებად.

სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს
თბილისის მომსახურების ცენტრი
შემოსვლის № 34694/9
03 04 2018 წ.
2+11 გვერდი ფურცელი

პარალელურ რეჟიმში, ჩავატარეთ ტენდერი სამშენებლო კომპანიის გამოსავლენად. ტენდერში მონაწილეობა მიიღო 7 კომპანიამ; ტენდერის მიმდინარეობის პროცესში გამოიკვეთა 2 კომპანია „აზიმუტი“ და „ანაგი“ და საბოლოოდ 2018 წლის 13 თებერვალს გავაფორმეთ სამშენებლო ხელშეკრულება კომპანია „აზიმუტთან“, რომლის საფუძვლზეც ამჟამად ხორციელდება სამშენებლო სამუშაოები მიწის ნაკვეთზე.

ამ დროისათვის მშენებლობა მიმდინარეობს უწყვეტ რეჟიმში; A ბლოკის (პარკინგის სართულის) ფილის დასხმა და გადახურვა უკვე დასრულებულია, ხოლო ამჟამად B ბლოკის -1 სართულის ფილის დასხმის პროცესი მიმდინარეობს (არსებული მდგომარეობის ამსახველი ფოტომასალა თან ერთვის წინამდებარე წერილს).

როგორც მოგეხსენებათ, შპს „სამედიცინო ინოვაციების ცენტრის“ ვალდებულება შეადგენს 4 000 000 ლარის ინვესტიციის განხორციელებას და ზოგადი პროფილის არანაკლებ 25 საწოლზე გათვლილი სამედიცინო მომსახურების ცენტრის შექმნას, აღჭურვასა და ფუნქციონირების დაწყებას. აღნიშნულის პარალელურად ჩვენ ვგეგმავთ მთლიანობაში სავარაუდოდ 10 000 000 ლარის ინვესტიციის განხორციელებას და სავალდებულო მინიმუმთან შედარებით ბევრად მასშტაბური სამედიცინო მომსახურების ცენტრის აშენებას. აღნიშნული პროექტის განხორციელების მიზნებისათვის მოხდა თიბისი ბანკთან დაკავშირება და ბანკმაც, თავის მხრივ, შეისწავლა ჩვენი პროექტი და გამოთქვამს მზადყოფნას, მონაწილეობა მიიღოს აღნიშნული პროექტის დაფინანსებაში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოხდება მშენებლობის დასამთავრებლად ვადის გაგრძელება იმ ვადით, რაც საჭიროა აღნიშნული პროექტისათვის მშენებლობის სრულყოფილად დასასრულებლად.

როგორც თქვენთვის ცნობილია, მოცემულ ტერიტორიაზე არსებობდა რიგი პრობლემები, რის შესახებაც ჩვენს წინა წერილებშია საუბარი, რის გამოც მხოლოდ 2017 წლის ივლისის თვეში მოხდა სამშენებლო ნებართვის აღება; პრაქტიკულად კი მშენებლობისათვის მოსამზადებელი სამუშოები დაიწყო მხოლოდ 2017 წლის აგვისტოს თვიდან. დარჩენილ პერიოდში (დასრულების ვადა: 2018 წლის ივლისი) კი, მოგეხსენებათ, აღნიშნული პროექტის სრულყოფილად დასრულება ფაქტობრივად შეუძლებელია. ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, გთხოვთ, 1 წლის ვადით გადაგვივადოთ შპს „სამედიცინო ინოვაციების ცენტრის“ მიერ ნასყიდობის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადა, რათა სრულყოფილად შევძლოთ თანამდროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი სამედიცინო მომსახურების ცენტრის აშენება და ექსპლოატაციაში შეყვანა და ჩვენის მხრივ, წვლილი შევიტანოთ ჩვენი ქვეყნის აღორძინებასა და განვითარებაში.

პატივისცემით,

გიორგი საგანელიძე

დირექტორი








doka






AZIMUTI







